ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 16

ქ. ახმეტა 3 ოქტომბერი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ზ. ჭიჭიკლიშვილი, ა. ბუღრიძე, თ. მგელიაშვილი, გ. ხუცურაული, ა. შათირიშვილი, თ. ბორჩაშვილი, გ. ხადიშვილი, ა. ხიზანაიძე, ვ. სუხოშვილი, ი. მრელაშვილი, ნ. ალავიძე, დ. ავაზაშვილი, თ. მოზაიძე.

მოწვეული სტუმრები:

შ.პ.ს. ,,თუშური ცხვრის ჯიშსაშენის“ დირექტორი ნარგიზა ილურიძე

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გიორგი გახუტიშვილი

იურიდიული სამსახურის უფროსი თინათინ შათირიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მარინა მაისურაძე

სხდომა გაიხსნა 11 ⁰⁰ საათზე.

კვორუმის არარსებობის გამო სხდომა გადაიდო 30 წთ-ით.

სხდომა გაგრძელდა 11^{30} საათზე.

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, თ. წითელაური, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ. კოხტაშვილი, თ. მგელიაშვილი, ა. მექვევრიშვილი, ა. ბუღრიძე, გ. ხუცურაული, ა. შათირიშვილი, თ. ბორჩაშვილი, გ. ხადიშვილი, რ. გახუაშვილი, ვ. სუხოშვილი, ი. მრელაშვილი, ა. ხიზანაიძე, ნ. ალავიძე, შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი, დ. ავაზაშვილი, თ. მოზაიძე, თ. ბოდაველი, ლ. გოგოთიძე, ფ. შიომღვდლიშვილი.

მოწვეული სტუმრები:

შ.პ.ს. ,,თუშური ცხვრის ჯიშსაშენის“ დირექტორი ნარგიზა ილურიძე

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გიორგი გახუტიშვილი

იურიდიული სამსახურის უფროსი თინათინ შათირიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მარინა მაისურაძე

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

2. ,, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში მდებარე **39** ერთეული გარე განათების ბოძებზე, (რუსთაველის ქუჩაზე, ძველი საავადმყოფოს შესახვევიდან ქ. ახმეტის გასასვლელამდე და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე კულტურის სახლიდან სამოც ბინიან კორპუსამდე) ერთეულზე **5** სანტიმეტრიანი მონაკვეთის შპს „მაგთიკომი"- სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

3. ,,**2018** წლის **19** ივნისს გამოცხადებულ, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე **193.0**კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმეორებით, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით, საწყისი საპრივატიზებო საფასურის **35%**-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

4. ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 – 2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის გაცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - არსენ ბუღრიძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება:

სხდომას ესწრება 25 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 20

კენჭისყრაში მონაწილება არ მიიღო - 5 (თ. ბოდაველი, ფ. შიომღვდლიშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი, შ. ტერტერაშვილი.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საჭიროება გამოიწვია დადგენილების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლთან შეუსაბამობამ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239 მუხლის 4^4 ნაწილით თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის უფლება მიენიჭა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას ან მერიის მიერ უფლებამოსილ პირს. იმავე მუხლის 67-ე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლებამოსილება აქვს მუნიციპალიტეტის მერს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. 239-ე მუხლის 31-ე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები. აქედან გამომდინარე, საკრებულო არ არის უფლებამოსილი დადგენილებით განსაზღვროს სხვადასხვა სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირები. აღნიშნული პირები უნდა განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, შესაბამისად საკრებულოს N57 დადგენილების არსებობა აზრს კარგავს.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით:

დადგენილება შედგება ორი მუხლისგან.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.

აზრი გამოთქვეს:

ანზორ ხიზანაიძე: ცხენები, რომლებიც ტურისტებს ემსახურებოდნენ, გაანადგურეს თუშეთის ტერიტორიაზე არსებული საძოვრები და სათიბები, რამაც დიდი პრობლემები გამოიწვია. ეს საკითხი, თუ ერთ წელიწადში არ მოგვარდა მოსახლეობას აღარ ექნება იქ გაჩერების სურვილი. მოვიწვიოთ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ხელმძღვანელი და მასთან ერთად განვიხილოთ ეს საკითხი.

მომხენებელი დაეთანხმა და აღნიშნა რომ საკანონმდებლო ფორმით ეს საკითხი მოგვარებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 21

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 3 (თ. ბოდაველი, შ. ტერტერაშვილი, ვ.დედაბრიშვილი)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №62 „თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში მდებარე 39 ერთეული გარე განათების ბოძებზე, (რუსთაველის ქუჩაზე, ძველი საავადმყოფოს შესახვევიდან ქ. ახმეტის გასასვლელამდე და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე კულტურის სახლიდან სამოც ბინიან კორპუსამდე) ერთეულზე 5 სანტიმეტრიანი მონაკვეთის შპს „მაგთიკომი"-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა: მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ახმეტაში მდებარე 39 ერთეული გარე განათების ბოძებზე, (რუსთაველის ქუჩაზე, ძველი საავადმყოფოს შესახვევიდან ქ. ახმეტის გასასვლელამდე და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე კულტურის სახლიდან სამოც ბინიან კორპუსამდე) ერთეულზე 5 სანტიმეტრიანი მონაკვეთის შპს „მაგთიკომი"-სთვის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა.

დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით 39 ერთეული გარე განათების ბოძებზე, ერთეულზე 5 სანტიმეტრიანი მონაკვეთის, სულ 1,95 გრძივი მეტრის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური- **78.0 ლარის** ოდენობით.
სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა -2 წელი
განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 21

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 3 (შ. ტერტერაშვილი, თ. ბოდაველი, ვ. დედაბრიშვილი)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №33 ,, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში მდებარე 39 ერთეული გარე განათების ბოძებზე, (რუსთაველის ქუჩაზე, ძველი საავადმყოფოს შესახვევიდან ქ. ახმეტის გასასვლელამდე და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე კულტურის სახლიდან სამოც ბინიან კორპუსამდე) ერთეულზე 5 სანტიმეტრიანი მონაკვეთის შპს „მაგთიკომი"- სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: 2018 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 193.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმეორებით, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 35%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა: რომ საკითხი ეხება ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 193.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ50.04.43.484) განმეორებით, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასური 35 %-იანი ფასდაკლებით -3764 (სამიათას შვიდას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 20

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 4 (შ. ტერტერაშვილი, თ. ბოდაველი, ვ. დედაბრიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №34 ,,2018 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 193.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმეორებით, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 35%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 – 2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის გაცნობის შესახებ.

/მომხსენებელი - არსენ ბუღრიძე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციები, რის საფუძველზეც გადაწყვიტეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებული ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 – 2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში მოყვანილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და შესაბამისი რეკომენდაციების რეალიზების მიზნით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ყეინიშვილი - ჯგუფის ხელმძღვანელი

წევრები:

- რამაზ ბაღაკაშვილი
- არჩილ მექვევრიშვილი
- ლევან ითიურიძე
- დავით იმერლიშვილი
- არსენ ბუღრიძე
- არჩილ შათირიშვილი
- ანზორ ხიზანაიძე
- თინათინ მოზაიძე

- დავით ავაზაშვილი

- იური მრელაშვილი

- ბიძინა ჭიჭიკლიშვილი

- შაქრო ტერტერაშვილი

- გიორგი ხუცურაული

ეთხოვოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფში (სათათბირო ხმის უფლებით) წარადგინოს მერიის შესაბამისი სამსახურების პასუხისმგებელი პირები და უზრუნველყონ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

სხდომას ესწრება 23 წევრი.

მომხრე - 22

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 1(თ. ბოდაველი.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №35 2016 – 2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში მოყვანილი დარღვევა - ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და რეკომენდაციების რეალიზების მიზნით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მისი პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13 [15] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი